# მოგზაურობა სამშობლოში

1. წერილი კახეთიდან

შემომეფეთა ალაზნის ველი
და რომ შევხედე დანამდვილებით,
გულმა ოცნებით წაიბარბაცა...
ზევით ახმეტა, ძირს ბახტრიონი...
დამდგარან მთები, ვით მაყრიონნი,
უმღერენ კახეთს – უკვდავ პატარძალს,
და ადგილიდან ვეღარ იძვრიან
მისი სიტურფით დაბნედილები...

უცბად გადმოსკდა მთებზე მზის წყარო,
ვით საფერავის წითელი ღვარი,
შენ მომენატრე, დაუვიწყარო...
და წამოვიდა ლექსის ლიღარი...

ვით ლხინის სუფრა აუკეცელი,
ოქრონაწური შხეფებით სველი,
ისე ბრწყინავდა ალაზნის ველი...
წამით არწივმა დაჰფარა ფრთებით...
მეც ისე ვიდექ, როგორც ის მთებიუ

2 ანანური

უეცრად წინ გადაგვიდგა
ორ მთას შუა დამალული,

მცხეთის, ბაგრატის კედლები,
გელათის ქვაკუთხედები.
სისხლგადასხმული კოშკები,
მრისხანე, აუხედები...
გამოშიშვლებულ აკლდამის
ძვლები ჭირნავაგლახარი,
გვერდით რო ხმლები უწყვიათ:
პირდაჟანგული ლახვარი

ქვისაგან გამოკვეთილი
ძეგლად ნადგამი ქურანიუ
მათი ნაკვეთი კლდეები
და მათი ნასადგურალიუ

მე მათ დიდებას ვგალობდი,
მე მათი ფრთებით ვქროლავდი,
იქ, სადაც რკინის პალოთი
ვახტანგს დაება ხომალდი...

4 საღამო ძველ თბილისში

უდა შავნი შაშვნი დააცხრნენ ბაღებს,
სადაც ცოცხლობენ ძველი

ზღაპრები..
ატყორცნილი ძველ კოშკებით
ვაჟკაცური ანანური.
რას ფიქრობენ ნანგრევები,
ან რა დარჩათ სანანური? –
სდუმს არაგვი, სდუმან მთები,
ცა ვარსკვლავით დანალული...

შავი ხავერდით, შავ აბრეშუმით,
მოფრიალებენ გიშრის აფრები,
იღებს თბილისი ხელში ჭიანურს,
მიზრაფს ჩამოჰკრა დამჭკნარი ხელი...
გადმოდგა მთვარე ნარიყალაზე
და მოიღერა ზესიკმა ყელი..,

## 3. იქ, სადაც რკინის პალოთი:.

სხივნაყარი ხმით ვგალობდი,
გაქანებული ვქროლავდი,
იქ, სადაც რკინის პალოთი
ვახტანგს დაება ხომალდი...

მე ვნახე: ლოდის ნატეხი,
ძველი ჩუქურთმით ქსოვილი.
ციხე-დარბაზის თაღები,
ცრემლების ნესტით სოველი.

## 5. ქართლის ღამე

შავი კამეჩი შავად დამწვარი
ურმულიანი ღამე ქართლისა...
მტკვარი, ტირიფი, ძველი ტაძარი,
ჩუმი შრიალი ეზოს ვარდისა...

წყნარად ქათქათებს ზეცა კრიალა,
უხმოდ მოსცურავს ჩქერებში ტივიუ
აქ ისტორიამ გადიგრიალა
და მიწა ჩუმად ისინჯავს ტკივილსუ

## 6. თემურის ხანძართ ნატისუსალი

მთვარე კაშკაშებს მტრედისფერ ბურში,
თამარის სახის დასადარელი.
მთები... სიჩუმე, როგორც ბნელ ჭურში...
ფოთლის არხევას არსად არ ელიუ

უცბად მეყნოსა სუნი დამწვრისა,
თემურის ხანძართ ნატისუსალი,
თითქოს მან ქართლი ამ წამს გასრისა
და ერთი ფეხით ვერ მივუსწარი!..